საიდ. №76456/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №83-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №83-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 აპრილის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №870/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „COMPACT” (საიდ. №76456/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015

წლის 30 აპრილის №870/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს „COMPACT“, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, ვინაიდან ნიშანი აღწერილობითია. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, არ რეგისტრირდება ნიშანი, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, თვისების, დანიშნულების, ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან. სასაქონლო ნიშანი „COMPACT“ შედგება მხოლოდ სიტყვიერი ნაწილისაგან, შესრულებულია ლათინური ანბანით და ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „კომპაქტური“. სიტყვა „კომპაქტური“ სიგარეტებისთვის აღწერილობითია, ვინაიდან, აღწერს სიგარეტის ზომას, მიუთითებს, რომ სიგარეტი არის პატარა ზომის, კომპაქტურად შეფუთული, ან ზოგადად კომპაქტურს. ასევე, სხვა საქონლისთვის, რომელიც მითითებული აქვს განმცხადებელს: თამბაქო დამუშავებული და დაუმუშავებელი; თამბაქოს პროდუქტები; არასამედიცინო და არასამკურნალო დანიშნულების თამბაქოს შემცვლელები; სიგარეტები; სიგარილოები; სიგარები; სიგარეტის დასამზადებელი ხელის მანქანები; მილები სიგარეტებისათვის; სიგარეტების ფილტრები; სიგარეტის ქაღალდი; ასანთი და მწეველთა საკუთვნო. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშანი არ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სიგარეტი თუ თამბაქოს ნაწარმი არის მჭიდროდ შეფუთული და პატარა ზომის. თავისი არსით არცერთი ის პროდუქტი, რომლის მიმართ მოითხოვება ნიშნის რეგისტრაცია არ შეიძლება იყოს კომპაქტური. სიგარეტის კოლოფი მისი შიგთავსიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს კომპაქტური. სიგარეტის ღერები თავიანთი მრგვალი ფორმიდან გამომდინარე ვერ შეიფუთება იმაზე უფრო მჭიდროდ, ვიდრე ისინი ერთმანეთს აძლევენ ამის საშუალებას. კოლოფში განსაზღვრულზე მეტი სიგარეტის ჩალაგება გამოიწვევს მათ დაზიანებას და ასევე, შეუძლებელს გახდის მათ ამოღებას დაზიანების გარეშე. აპელანტის პოზიციით, არ შეიძლება დამუშავებული თუ დაუმუშავებელი თამბაქო იყოს კომპაქტური, არ შეიძლება ასევე, თამბაქოს შემცვლელები იყვნენ კომპაქტურები. სიგარა თავისი არსით ვერანაირად ვერ იქნება კომპაქტური, მილები, ფილტრები, სიგარეტის ქაღალდი, სიგარეტის დასამზადებელი ხელის მანქანები და ასანთი ვერ იქნებიან მეტად კომპაქტურები, რადგან მომხმარებელს ფიზიკურად უნდა შეეძლოს მათი მოხმარება. აღნიშვნა „COMPACT” პირდაპირ არ მიანიშნებს იმ პროდუქციაზე, რომლისთვისაც ის გამოიყენება, არ არის მუდმივი განსაზღვრება წარდგენილი საქონლის მიმართ და არ არის გავრცელეფული ფრაზა თამბაქოს ინდუსტრიაში.

ამასთან, აპელანტს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა სააპელაციო საჩივრის საქმის ზეპირი მოსმენის სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სხდომაზე არ გამოცხადდა.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „COMPACT” არ წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალისათვის, ვინაიდან სიტყვა „COMPACT” ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მჭიდრო“, „კომპაქტური“. კოლეგიის აზრით, ნიშანი ფანტაზიურია 34-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ, ვინაიდან თამბაქოს ინდუსტრიაში იგი არ წარმოადგენს საქონლის ხარისხის, თვისების ან სხვა რაიმე მახასიათებლის აღსანიშნავად დამკვიდრებულ ტერმინს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „COMPACT” (საიდ. №76456/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „რეემტსმა სიგარეტენფაბრიკენ გმბჰ“ (Reemtsma Cigarettenfabriken GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 აპრილის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №870/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „COMPACT" (საიდ. №76456/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე